

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მრჩველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი

18 დეკემბერი 2018 წ.

„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>7</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩველთა საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე:

მოწვეულ იქნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა 2018 წლის 21 დეკემბერს 12 საათზე, (მისამართი: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41) შემდეგი დღის წესრიგით:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2019 წლის ბიუჯეტის შეთანხმებულ პროექტში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა, მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 17 დეკემბრის N02-19/3171 წერილის საფუძველზე. (მომხსენებელი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორი, ნათია კაპანაძე)
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 10 დეკემბრის N02-19/3077 წერილის საფუძველზე სხვადასხვა საქონელის/მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა. (მომხსენებელი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორი, ნათია კაპანაძე)
3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2018 წლის საპრემიო ფონდის (საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში) დამტკიცების საკითხის განხილვა. (მომხსენებელი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორი, ნათია კაპანაძე)
4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თანამშრომლებზე პრემიის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა. (მომხსენებელი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩველთა საბჭოს აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საქმისწარმოების სპეციალისტი, თამარ კეკელაშვილი)
5. მიმდინარე საკითხები.

განცხადება განთავსდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“

